



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 26 ივლისი

დისციპლინური საქმე №64/21  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2021 წლის 4 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 11 ივნისის №246/64-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

1.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადა.

1.2. მოსამართლემ ასევე არ დააკმაყოფილა მის მიერ წარდგენილი რამოდენიმე განცხადება.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 24 აპრილს, --- წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ, თანხის დაკისრებისა (--- აშშ დოლარი) და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

--- სასამართლოს 2020 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით --- სარჩელი --- მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. --- სასარგებლოდ დაეკისრა --- აშშ დოლარის გადახდა (ძირი თანხა --- აშშ დოლარი, პროცენტი --- აშშ დოლარი და პირგასამტეხლო --- აშშ დოლარი). --- სასარგებლოდ დაეკისრა ყოველდღიურად, პირგასამტეხლოს --- აშშ დოლარის გადახდა 2019 წლის 25 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ხოლო ძირი თანხის --- აშშ დოლარის ანაზღაურების მიზნით დაგირავებული ქონების --- 92,85% წილის რეალიზაციის გზით განხორციელება. --- მოთხოვნა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

2020 წლის 30 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა --- შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შუამდგომლობის ავტორმა.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- წარდგენილი სააპელაციო საჩივრები 2020 წლის 12 ოქტომბერს მიიღო წარმოებაში.

მოსამართლემ ასევე 2020 წლის 15 ოქტომბერს წარმოებაში მიიღო -- -- კერძო საჩივარი 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე. კერძო საჩივრის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2021 წლის 28 იანვარს; შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 2021 წლის 11 თებერვალს. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება დაინიშნა შემდეგ სხდომაზე, 2021 წლის 18 თებერვალს.

2021 წლის 18 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 24 მარტს -- -- წარადგინა სააპელაციო შესაგებელი. 2021 წლის 20 აპრილს დაინიშნა მთავარი სხდომა სააპელაციო საჩივრების განხილვის მიზნით, თუმცა საქმეში დევს ცნობა, რომლის მიხედვითაც სასამართლოს არასრული შემადგენლობის გამო სხდომა ვერ გაიმართა.

2021 წლის 26 მარტს -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ მიმართა მოსამართლეს. 2021 წლის 26 მარტის განჩინებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი. 2021 წლის 1 აპრილის განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა. 2021 წლის 16 აპრილის განჩინებით, აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაიგზავნა ზემდომ ინსტანციაში.

2021 წლის 5 აპრილს -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ კვლავ მიმართა მოსამართლეს. 2021 წლის 6 აპრილის განჩინებით -- -- განცხადება არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა -- -- მიერ. 2021 წლის 19 აპრილის განჩინებით საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2021 წლის 29 აპრილის განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაიგზავნა ზემდომ ინსტანციაში.

2021 წლის 16 აპრილს -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ კვლავ წარუდგინა განცხადება მოსამართლეს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხზე სასამართლოს უკვე ნამსჯელი ჰქონდა, 2021 წლის 16 აპრილის განჩინებით, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადება მოსამართლემ დატოვა განუხილველი.

საქმის განხილვა ამ ეტაპისათვის არ დასრულებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

ვინაიდან მოთხოვნას წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით, რომლის საფუძველზე „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად“.

მოსამართლე -- --, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიღებული განჩინებების გამოტანისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტში მითითებული საჩივრის ავტორის მოთხოვნა). კონკრეტული საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინებების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

### გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 4 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).
2. -- -- 2021 წლის 4 ივნისის №-- საჩივარზე გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>

მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**